

„ეროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation EU2016/679) ექსტრატერიტორიული გავრცელება და მონაცემთა დამმუშავებლის ახალი ვალდებულებები“

ანა ჭაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სანდრო დევიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჭაია /ა. ჭაია/

04.07.2019 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation EU 2016/679) ექსტრატერიტორიული გავრცელება და მონაცემთა დამმუშავებლის ახალი ვალდებულებები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ტერიტორიის მიღმა არსებულ მონაცემთა დამმუშავებლებზე რეგულაციის გავრცელების შემთხვევების განსაზღვრა, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების იმ ვალდებულებების განმარტება, რომლებიც რეგულაციამ პირველად გააცნო როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ისე მთელ მსოფლიოს, საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩართვოს მიმოხილვა და რეკომენდაციის მიცემა იმ ორგანიზაციებისთვის ვისაც შეეხება აღნიშნული რეგულაცია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი, რომელიც მიმართულია ფიზიკური პირების პირადი სივრცისა და უსაფრთხოების დაცვისკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, რომელიც ყოველდღიურად ცვლის პირთა ცხოვრებას. აღნიშნულ გამოწვევას ევროკავშირის ახალი რეგულაცია უპირისპირებს პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტირების საჭიროებას და საშუალებას აძლევს როგორც მონაცემთა სუბიექტებს, ისე მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებს უკეთ გაიგონ მეტი იმ ინფორმაციის შესახებ, რომელსაც ისინი ფლობენ და იყენებდნენ მეტად დაცულ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სისტემებს.

ნაშრომის ფარგლებში აღწერილი იქნება ახალი რეგულაციის მიღების ისტორიული კონტექსტი, მისი ტერიტორიული თუ ექსტრატერიტორიული გავრცელების შემთხვევები, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციებისთვის დადგენილი ახალი ვალდებულებები, მათთან შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებები, შესაბამისობის მიუღწევლობის საპასუხოდ გათვალისწინებული სანქციები.

ნაშრომში დეტალურად იქნება გაანალიზებული თუ რატომ არის აღნიშნული რეგულაცია საინტერესო საქართველოს საკანონმდებლო სივრცისა და საქართველოში არსებული მონაცემთა დამმუშავებლებისთვის.

ნაშრომი დასრულდება იმ რეკომენდაციებით, რომლებიც როგორც საქართველოში მყოფი მონაცემთა დამმუშავებლებისთვის ისე ნებისმიერი ორგანიზაციისთვის იქნება სახელმძღვანელო, რათა იზრუნოს ისეთი შიდა ორგანიზაციული მოწყობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ახალი რეგულაციით დადგენილ მაღალ სტანდარტებთან.

## Abstract

The topic of this master's thesis is extraterritorial scope of the General Data Protection Regulation (EU 2016/679) and the new obligations of the data processors established under the regulation.

The aim of the present thesis is to determine the cases of extraterritorial spreading of the new regulation, its binding nature over the entities operating outside of the territory of EU, determination of the new obligations implemented under the regulation targeting the data processors, which shall be deemed as newly established standards not only for the member states of EU but also for the rest of the world, overview of the Georgian legislation regulating data protection matters and finally issuing the recommendations for the organizations which will fall under the scope of the regulation.

Law of data protection aiming to protect the privacy and security of the data subjects, gains the special significance due to the rapidly developing technologies bringing the substantive changes to individuals lives. The mentioned challenge has been addressed by the new regulation which emphasizes the guarantees of securing the rights and freedoms of the individuals, contradictly enables the organizations involved in data processing to have the better knowledge of the information under their procession and to use more secured IT systems for their operations.

The present thesis describes the historical contexts of adopting the mentioned regulation, its territorial and material scope, new obligations established under its force, ways of demonstration of the compliance with the established requirements and sanctions in cases of non-compliances.

This paper will demonstrate the motivation why the discussed regulation shall be deemed as copre point of interest including for Georgia as the non-EU member state in light of national laws and for the organizations operating in the territory of Georgia.

The thesis will give the certain recommendations for the entities engaged in data processing including operating in Georgia, for internal organizational structuring and demonstration of the compliance with established high standard requirements under the new regulation.